საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 85 დამატების № 16

კვირა, 17 აპრილი, 1916 წ.

აკაკი—ქანდაკება **მ. ჭიაურელისა.**

შავი კუნძული

I

ცა კამკამა, ბადრი მთვარე,
ვარსკვლავების ჯარი,
მთის ქედები ტყე მთვლემარე
მოსისინე ქარი.

—

მრისხანე ზღვის თეთრი გული—
ანათრთოლი ზვავად,
ზღვის სივრცეში ტლუ კუნძული
მონისლული შავად...

II

წყლის გალავან მოვლებული
ობლადაა მარად,
საუკუნეთ ნისლის რული
დასწოლია ფარად...

—

ზედ—არც მიწის გრძნეულება,
არც სინათლის თვალი;
არც სიცოცხლის სნეულება,
არც არსების კვალი...

—

არც სიწმიდე ალმაფრენის,
არც დაცემის ვნება;
არც ვედრება ზესთა-ზენის,
ზედ არც უკვდავება...

—

მხოლოდ კოშკი მოსჩანს შავი
უკარ-უფანჯარო,
და მის გზათაც უხილავი
ცრემლით სავსე ხარო...

—

შიგა სცხოვრობს დასაბამით
მეფე—უძლეველი,
მიწასა ფლობს მარად ჟამით
მისი ცივი ხელი...

—

იგი ხვეწავს დროის ქსელსაც
ცის და მიწის ძალად,
და სისხლით რწყავს ბედის გულსაც
გარდაუვალ ღალად...

კიკნა-ფშაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესკიზი ალ. ციმაკურიძისა. „შინ დარჩენილთა ამარა.“

გოდება

შხამით და გესლით აღვსილია ჩვენი არსება,
ჩვენი სიცოცხლე სიკვდილივით მოწამლულია,
მოდით, ისმინეთ განწირულის გლოვა-ვაება:
სატრფო-სამშობლო უცხოთაგან დაჩაგრულია!

არა გვაქვს ჭერი, რომ კედელზე მივაყრდნოთ თავი,
ლუკმას ვეძიებთ ჩვენს ეზოში სხვისა კარზედა,
სამათხოვროთა გაგვიწვდია მაშვრალი მკლავი
და ვით ქურდები დავწანწალებთ ჩვენს მიწაზედა.

ბედი დავკარგეთ, აღსასრულის ბილიკს გავყევით,
მოყვრად ვიწამეთ ყველა ფლიდი და გაიძვერა,
და ჰა, დავეცით და დავდივართ გლოვით და წყევით,—
ჩვენ სამშობლოსთან, ჩვენი გულიც გადაისერა.

რას მოველოდით? ნებიერათ რისთვის გვეძინა,
თავისუფლებას, ნეტარებას, თუ დავკარგავდით?
მოვმკვდარიყავით და ეს მიწა გულს დაგვეფინა,
წმინდა ქვეყანას, წმინდა სისხლით მაინც მოვრწყავდით!

ახლა რაღა ვართ?—დაცემულნი ხორცით, სულითა,
ჩვენს გულ-მკერდზედა შხამიანი დაცოცავს გველი,
მშიერ-მწყურვალნი, სამათხოვრო საგზალ-გუდითა,
სხვის კარდაკარა დავწანწალებთ ვით ებრაელი.

სად-ღა წავიდეთ? სხვა სამშობლო სად მოვიპოვოთ?
სად მოვასვენოთ დატანჯული, ობოლი ძვლები?
—მოდით, შემოკრბით! მტკვრის კიდეზე ერთად ვიგლოვოთ,
ან დავამსხვრიოთ ეს საკანი, ეს ბორკილები!

არა, არა ვართ ბედისაგან სულ განწირული:
დროთ მონაგარსა, თან წაიღებს დრო წარმავალი,
წინ გაბედულთ! ბრძოლა ძმებო, ბრძოლა გმირული,
ჩვენვე გავსჭედოთ ჩვენი ბედი და მომავალი!

შხამით და გესლით აღვსილია ჩვენი არსება,
ჩვენი სიცოცხლე სიკვდილივით მოწამლულია,
მოდით, ისმინეთ, განწირულის გლოვა-ვაება:
სატრფო-სამშობლო უცხოთაგან დაჩაგრულია!

ნ. ჩხიკვაძე.

ოკრეულს

ჩემო ძვირფასო შავ-თვალა ქალო,
ქალო, ლამაზო და თმა-ხუჭუჭავ!
შვება მოჰფინე ჩემს სულს—ავადმყოფს,
უდროოდ თვალებს ნუ დამიხუჭავ.

—

შავი ფიქრები გარს მეხვევიან
და ვწევარ ასე განუკურნელი,
მოდი, მოგელი, თან წამოიღე
მაისის დილა, ვარდის სურნელი.

—

შენ მზეს ვფიცულობ წუხელის ღამით
არ მქონდა ძილი და მოსვენება,
ვწუხდი, რად შემხვდა მაცდურ ღიმილით
და რისთვის გაჰქრა ვით მოჩვენება.

—

ღამეა ბნელი, ღამე უმთვარო,
სევდით აღსავსე, მკვლელი გულისა
და თვალთაგანაც მდის უნუგეშოთ
ობოლი ცრემლი სიყვარულისა.

ი. დაროშვილი.

ია მაჩუქა

ერთხელ მე იმან ია მაჩუქა,
ია ლამაზი, ია ცისფერი,
და ჩემს გულში მზემ გამოაშუქა,
და ჩემს სიცოცხლეს დაეტყო ფერი.

ნათელ ღიმილით შემომაჩერდა,
რა მღელვარება შემატყო ფერზე;
ფეხი გადასდგა... ისევ გაჩერდა
და გაასწორა საათი ხელზე.

ახ, რა ლამაზი იყო ქალწული,
და სიქალწულეც რა რიგ ჰშვენოდა!—
ორ წყებად ჰქონდა თმები დაწნული
გულ-მკერდიც ორად გამოჰჩენოდა!

და მერე თეთრად გამოწყობილი!
თვითონაც თეთრი... არა ვგმობ ბედსა,
ის ანგელოზის იყო დობილი
და რას მიძღვნიდა ყვავილის მეტსა?

კ. ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მოქანდაკენი ძერწვა არჯევანიძის სკოლაში, წალვერის ტყეში.

ჯეშმარიტად, ჯეშმარიტად!

საალდგომო ეტიუდი.

აღდგომაა, მთელი სოფელი მხიარულობს, შვებას ეძლევა. დღეს საგანგებოდ მშვენიერი დღე გამოვიდა, თუმცა დილით ალიონზედ ცოტა ჟინჟღლავდა, ბუნება ჟინიანობდა, მაგრამ შემდეგ ცამ კოხტა პატარძალსავით პირი მოიწმინდა, ღრუბლები გადიყარა, კაშკაშა მზე ამოცურდა ცის ტატნობზედ და მთელი დამაშვრალი ქვეყნიერება გაამხიარულა და აამოძრავა. მზის სხივებით ათასფეროვნად გაბრწყინვებულმა ახლად აყვავებულმა ხეხილმა და ხათესებმა, რომელთ შორისაც ჩაფლული იყო სოფელი, სადღესასწაულო სახე იქაურობისა უფრო განაცხოველეს და განამტკიცეს. ქრისტეს აღდგომასთან ერთად ბუნებაც დღეს ახლდება, ფერს იცვლის და აი სწორედ ეს ბუნების განახლება-გამოცოცხლება, უფრო ამხიარულებს ხალხს, უფრო საზეიმოდა ჰხდის დღევანდელს დღესასწაულს. დახეთ ეკლესიის გალავანში რა მხიარულებაა, ახალს აფერადებულს ტანისამოსში გამოწყობილა დიდი და პატარა და რა კისკასი და დაუსრულებელი მხიარულობა ისმის ყველგან. პატარა ბიჭები ხომ აღარ ისვენებენ, ხან კვერცხებს უკრავენ ერთმანეთს, ხან კიდევ ამ ჩამტვრეულს კვერცხებს გვერდობზედ აგორავებენ და გაფაციცებით შესცქერ-შესცქნავიან თუ რომელი რომლისას გაასწრობს, რომ შემდეგ ყიჟინა მორთონ და ახმაურდნენ. ეკლესიაც ამ საერთო ზეიმს ხმას აძლევს, დიდი ზარი ეკლესიისა დღეს თითქოს სადღესასწაულოდ გამოწყობილა, მისი წკრიალი შორითშორს გაისმის, მთის უფსკრულს ეხეთქება და მათაც უპასუხებს, ბანს აძლევს, გამოძახილს ეუბნება.

ზარის ხმა, ბუნების გამოცოცხლება, აყვავებული არე-მარე, ხალხის სადღესასწაულო მხიარულობა დღეს თითქოს განგებ შეერთებულან რათა უზენაესს ხატობა-დიდება შეასხან და მისი დღესასწაული სამარადისო უზენაესს ბედნიერებად აქციონ. აღტყინებული სოფლელები შვიდის კვირის მარხულობით დამაშვრალნი, დღეს არა ჩვეულებრივს მხიარულობას ეძლევიან, სახე მოცინარნი, მორთულ-მოკაზმულნი ჯგუფ-ჯგუფად დაიარებიან და ქრისტეს აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს. მხიარულობს, ლაღობს, უხარის, თავისუფლობს დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი.

ამ საერთო დღესასწაულს—ზეიმს, ამ საერთო ფერხულს არ აჰყოლია და ჩაჰბმია თოროლა ჰაჯიაშვილი. მთელის სოფლის გამონაკლისს ის შეადგენს, ის გამოსხლეტია და გამოსწყვეტია ყველას, მაგრად ჩაუკეტნია დარვაზის კარი და სახლში მოუკალათნია. არც არავის იღებს და არც თითონ მიდის ვისთანმე დღესასწაულის მისალოცავად. მის სახლს და კარ-მიდამოს არ ეტყობა სადღესასწაულო სახე, მოწყენილად, ნაღვლიანად გამოიცქირება იგი, სარკმელებიც კი სახლისა ყველა არ არის დღეს გაღებული.

დიდი ვარამი აწევს თოროლას; ისეთს აუტანელს გაჭირვებასა და სიღარიბეშია ჩავარდნილი, რომ მეტი არ შეიძლება. დრო იყო როცა თოროლას სახლი არამც თუ აღდგომა დღეს, არამედ ყოველ ჟამს ღია იყო ყველასათვის და მისი სტუმართ-მოყვარეობისა და პურ-მარილიანობის სახელი შორს იყო გავარდნილი. თოროლა მაშინ კარგა შეძლებული და მდიდარი გლეხკაცი იყო. სამას-ოთხასი ცხვარი ჰყავდა, ასი სული მსხვილფეხი საქონელი, რომელთათვისაც ცალკე ბინა ჰქონდა გაკეთებული. სხვაფრივაც არაფერი უჭირდა თოროლას და ყველაფრით სავსე ჰქონდა ოჯახი. მაგრამ თოროლას ბედსა და იღბალს საიდგანღაც შავმა ყორანმა დასჩხავლა და რაკი ერთხელვე წაიფორხალა არამც თუ გასწორება ვეღარ მოახერხა, პირიქით რაც დრო მიდიოდა სულ უკან-უკან იწევდა და ღატაკდებოდა.

აი საქმე რაში იყო. 19.... დიდი ყაჩაღობა იყო. თავზედ ხელ-აღებულ ბრბოთა ურდოები ქსელსავით იყვნენ ყველგან მოდებულნი და ერთს წუთს მოსვენებას არავის აძლევდნენ. ხან აქ დაეცემოდნენ ვისმეს შეძლებულს გაძარცვავდნენ და გაიტაცებდნენ მის საცხოვრებელს, ხან კიდევ შეუმჩნევლად სულ სხვაგან ამოჰყოფდნენ თავს და ნაცარ-ტუტას ადენდნენ ყველას. მათი მსხვერპლი შეიქმნა თოროლაც. ერთს მშვენიერს ღამეს დაეცნენ მის ფარეხს შირაქში და დედა-ბუდიანად გაირეკეს მთელი ცხვარი. ბევრს ეცადა თოროლა, ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ბევრი ივაგლახა, ვის არ მიჰმართა და ვინ არ შეაჯერა, მაგრამ ვერსად ვე რაფერს გახდა, კვალწმინდათ გაჰქრა ცხვარი, ველარავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. დაცარიელდა, გამოიწმინდა მისი ფარეხი, სულ ცარიელი დარჩა თოროლა. მაგრამ ბედმა ეს არ აკმარა. ვიდრე ის ცხვრის ძებნაში იყო მის ბინაში სხვილ-ფეხა საქონელს ჭირი გაუჩნდა და გაუწყდა საქონელი, ისე რომ მესამედიც აღარ დარჩა. ამ მარცხის შემდეგ თოროლა ბევრჯელ შეეცადა კიდევ ცხვრისა და საქონლის მოშენებას, მაგრამ რაკი ერთხელვე შეეშალა ნივრი და აღარც ფული და ქონება მოსდგავდა, მისი მდგომარეობა დღითი-დღე უკან-უკან მიდიოდა და ერთს დროს შეძლებული თოროლა დღეს უკვე ღარიბ-ღატაკი იყო და ამასთანავე საკმაოდ დავალიანებული.

თოროლას ბრაზი მოსდიოდა, გული ბოღმით ევსებოდა, აღრენილი იყო, ველარაფერ თავს ველარ აბავდა და თავისს ორ სართულიანს სახლს, რომ შეჰხედავდა ხოლმე, რომელიც ძველს შეძლება-სიმდიდრეს აგონებდა, უნდოდა ეს სახლიც დაქცეულიყო, ჩამონგრეულიყო, გატიალებულიყო და ის მოგონება კი ძველის სიმდიდრისა, რომელსაც სახლი აგონებდა, ერთბაშად და სამუდამოდ წაშლილიყო მის ხსოვნა-მოგონებაში და დავიწყებას მისცემოდა.

თოროლა ეხლა მთლად გამოცვლილია, გამოცვლილია მარტო გარეგნობით კი არა, არამედ უფრო სულიერად და ეს სულიერი მისი განცდა, ბოღმა აშკარად აღბეჭდილა მის სახეზედ. თოროლა ეხლა აჩრდილი-ღაა ანუ სუსტი ოდნავი მიმსგავსება წარსულისა და მეტი არაფერი, ისევე როგორც მისი ეხლანდელი კარ-მიდამოა და შეძლება წარსულისა.

თოროლა ხალხშიაც თან-თან გამოწყდა, აღარავის ეკარება, თაკილობს თავისს სიღარიბესა და ბედშაობას. აი დღესაც დიდი დღესასწაულია ქრისტეს აღდგომისა, ყველა მხიარულობს, თოროლა კი ამ დღესასწაულშიაც გამოჭკლებია ყველას, დარბაზის კარი მაგრად გამოუკეტნია, სახლში მოკუნტულა და მოწყენილი შესცქერის ჭერს.

აგერ მღვდელმა ჩვეულებრივ ბრწყინვალე დღის მისალოცავად ჩამოუარა. უკან ჩანჩალით მისდევენ დიაკვანი და მნათე. უკანასკნელს თან მიჰყავს ცხენი, რომელზედაც გადაკიდებულია ორი კარგი მოზრდილი ხურჯინი სანოვაგით სავსე. მღვდელ-დიაკვანს საფლავები უკურთხებიათ და სახლებშიაც ბევრისთვის მიულოცნიათ და თვისი კუთვნილი პასკები, მოხარშული ხორცი და სხვა სანოვაგე შეუკრებნიათ და ხურჯინები აუვსიათ.

აგერ მოადგნენ თოროლას სახლს, მაგრამ დარბაზი დაკეტილი დახვდათ. მღვდელი მიხვდა საქმე რაშიც იყო, თავმომწონე და ამავე თოროლას ერთ დროს შეძლებულსა და მდიდარს, არავისთვის უნდოდა ეჩვენებინა თავისი სიღარიბე-სიღატაკე და აი სწორედ ამიტომ მაგრად გამოუკეტნია დარბაზის კარი. მღვდელი მიხვდა თუ არა თოროლას საიდუმლოებას მით უფრო ძალზედ დაუწყო დარვაზს რახუნი. მაგრამ შინიდგან მარტო-ღა ყრუდ ძაღლის ხმა ისმოდა.

— თოროლავ, უუუ, თოროლავ, გაჰყვირა კიდევ მნათემ კარი გააღე მოძღვარი მობძანდა.

შიგნიდგან კიდევ მხოლოდ სიჩუმე და მარტო-ღა ძაღლის ყმუილი გაისმა.

მღვდელი არ ისვენებდა, კიდევ ძალზედ დაკაკუნა დარვაზი, შემდეგ ეზოს კედელთან მიგდებულს ქვაზედ

შესდგა, გადაიხედა ეზოში და თითონ-ვე გადასძახა:

— თოროლავ, თოროლავ ძალიან საჭირო საქმე მაქვს შენთან, ერთ წუთს აქ გამოიხედე, ღვთის გულისთვის.

ცოტა ხნის სიჩუმე კიდევ და დარ-ვაზს შიგნიდგან კაცის ხელი შეეხო, მძიმე რაზე ჩამოიხსნა და ჭრიჭინით გაშოილო კარები, რომლიდგანაც თო-როლა მკრთალი და დარცხვენილი სა-ხე გამოჩნდა.

— ქრისტე აღსდგა! მიაძახა თორო-ლა'ს მღვდელმა.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკ-ვდილითა სიკვდილისა... სახლის კარე-ბის შეღებასთან ერთად ბოხის ხმით შემოსძახა დიაკვანმა და მის ხმას ბა-ნი მისცა მღვდელმაც.

თოროლას სახლი გატლეკილი იყო, ცარიელს მაგიდაზედ მარტოლა პატა-რა ხელადა იდგა ღვინით. მღვდელმა საჩქაროდ მიმოავლო რა თვალი იქა-ურობას, გასძახა მნათეს.

— მურთუზა, ჩამოხსენი ცხენიდგან ხურჯინი და აქ შემოიტანე.

მურთუზა გაკვირვებული დარჩა და ადგილიდგან არ იძროდა.

— მურთუზ გეყურება თუ არა, ხურჯინი მოხსენ ცხენიდგან და საჩქა-როდ შემოიტანე აქა.

მურთუზა ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე, ზანტად გავიდა გარედ და ცოტა ხნის შემდეგ ზანტათვე შემოდ-გა უშველებელი ხურჯინი სანოვაგით სავსე. მღვდელმა მოხსნა პირი ხურ-ჯინს, ამოალაგა პასკის ნაჭრები, მო-ხარშული ხორცი, შეღებილი კვერცხე-ბი, და სხვა სანოვაგე და გაუვსო მა-გიდა თოროლას. შემდეგ ჭიქებში ღვი-ნო დაასხა, ხელში აიღო ერთი ჭიქა, თოროლას აცოცხლა ადღეგრძელა და უთხრა:

— შვილო ნუ გეთაკილება შენი სი-ღარიბისა და კარი ღია უნდა გქონდეს ყველასათვის და მით უმეტეს მღვდლი-სათვის. თუ შენთან სიმდიდრისა და შეძლებულობის დროს მოდიოდნენ, დროს ატარებდნენ და ლხინობდნენ, ეხლა მოვალენი არიან ყველანი ჭირ-ში ნუგეში გცენ, დაგეხმარონ, ხელი გაგიმართონ, და ვინც ამას არ იზამს და გაჭირვების დროს არ დაეხმარება მოძმეს ის დიდს დანაშაულს ჩაიდენს ღვთისა და ადამიანის წინაშე. ღია გქონდეს კარი, ღია, რომ ყველამ იცოდეს შენი გაჭირვება და ვინც გა-ჭირვებაში მოძმეს დაეხმარება ქრისტე ღმერთიც მას დაეხმარება და აღად-გენს და გააძლიერებს მას.

თოროლას შერცხვა, გული ამოუჯდა და ცრემლ-მორეულმა ეს-ღა წამოი-ლუღლუღა:

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად.

ზ. ედილი.



— ვა, ვა, ვა, კარაპეტ! რა მშვენიერი ქალაქი გვქონია თბილისი!
— მახლას! აგრე მცოდნოდა, უფრო ადრე გამოვიქცეოდი.

კულტურულ კავშირის არჩევნები ქუთაისში.

„ბავშვები და ავადმყოფებიც კი მიიყვანეს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად“



მიგვყავს კენჭის ჩასაგდებად კულტურულსა კავშირშიო დადექ კიტა, ფუტურისტო, გაუსწოროთ ბალიშიო.



„ბეჟენცები“ „გრუზინს“ მიჰყავს ჩრდილოეთის მხარესაო,
წინ ჰხვდებიან ესფერები, უჩერებენ ხარებსაო;
— რას სჩადიხარ, შოვინისტო, რად გვიქსაქსავ ძალებსაო!
ფედერალიზმს რად აობლებ, რად გვიყენებ თვალებსაო!

კ. აბაშიძე: ცისა ფერს, ლურჯსა ფერს
პირველად ქმნილსა ყანწს
სიყრმიდან ვეტრფოდი!

სამი საბუთიც: „გონს მოდით! მე ფუტურისტი არა ვარ: ჯერ ერთი—ორმო წელს გადავცდი, მეორე—ორმოცდა ხუთს გადავსცდი, მესამე ორმოცდა ათსაც მივახწიე“. **კ. აბაშიძე** („მეგობარი“)

ართულნება დია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**